პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 9 ივნისი, 1990 წელი ● № 24 (2901) ● СУББОТА, 9 июня 1990 г.

## ოფიციალური ინფორმაცია

**რესპუბლიკურ** გაზეთებში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის პროექტის თაობაზე და თვით ამ კანონის პროექტი.

• • •

**გამოქვეყნდა** სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირში მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ".

• • •

**გაზეთმა** „იზვესტიამ" გამოაქვეყნა სსრ კავშირის კანონის „საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ" პროექტი.

• • •

**პრესაში** საყოველთაო განხილვისათვის გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის პროგრამისა და ორგანიზაციული და სტრუქტურული წყობის ძირითადი დებულებების პროექტი.

**გასულ** შაბათ-კვირას ბათუმში გაიმართა 1921 წლის 18-20 მარტის ბრძოლებში თურქებისგან ქალაქის განთავისუფლებისათვის დაღუპულ ქართველ ჯარისკაცთა სამოქალაქო პანაშვიდი და დაკრძალვა საძმო სასაფლაოზე.

• • •

**4 ივნისს** ა. იაკოვლევის თავმჯდომარეობით გაიმართა ჯგუფის თათბირი, რომელიც 27 მარტს შეიქმნა სსრ კავშირის საპრეზიდენტო საბჭოზე სამართალდამრღვევთა თავიდან აცილებისათვის სამართალდაცვითი ორგანოებისა და საზოგადოებრიობის საქმიანობის და დამნაშავეობასთან ბრძოლის კოორდინაციისათვის.

• • •

**4 ივნისს** კრემლში ა. ლუკიანოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.



კვირას, თბილისში გავრცელდა ჭორი, იმის შესახებ, რომ საქართველოში აზერბაიჯანის ტერიტორიიდან შემოსვლას აპირებდნენ „მესხეთელი-თურქები".

ჩვენი ფოტოკორესპონდენტი მივლინებული იყო „წითელი ხიდის" მიდამოებში, სადაც სრული სიმშვიდეა, მილიცია აკონტროლებს მდგომარეობას.

სურათზე ასახული არიან საგზაო-საპატრულო სამსახურის თანამშრომელი, მილიციის ზემდეგი გ. მაისურაძე და საველერინარო დანაყოფის მილიციელი, მილიციის უფროსი სერჟანტი ო. ლაფერაშვილი, რომლებიც საკონტროლო-გასასვლელ პუნქტზე ამოწმებენ მოქალაქეებს.

გ. ბიაშვილის ფოტო.

## В КОЛЛЕГИИ МВД ГССР

**29 МАЯ состоялось очередное заседание коллегии МВД ГССР, в ходе которого были рассмотрены кадровые вопросы, а также заслушана информация заместителя начальника Следственного управления министерства подполковника милиции Д. Гахокидзе о состоянии расследования уголовных дел по фактам дорожно-транспортных происшествий.**

## ПРИШЛИ НА ПОМОЩЬ

**В КОНЦЕ** прошлой недели население столицы и всей республики было потрясено страшным известием о трагедии, разыгравшейся в результате аварии на канатной дороге, связывающей плато на горе Мтацминда с площадью Руставели. Погибло 18 человек, а 40 госпитализировано. В связи с происшедшей трагедией Советом Министров Грузинской ССР 7 июня было объявлено днем траура.

В те трагические минуты 1 июня многие люди откликнулись на происшедшую беду, пришли на помощь потерпевшим. Одними из первых протянули руку помощи и сотрудники органов внутренних дел Тбилисского гарнизона. Они помогали в спасении людей, доставке раненых в больницы, а когда по телевидению объявили о том, что пострадавшим нужна кровь, также одними из первых откликнулись на этот призыв. В частности, под руководством начальника подразделения ППС УВД Тбилгорисполкома полковника милиции С. Саришвили более 20 сотрудников в тот же день в 9-й городской больнице сдали свою кровь. От их имени и от имени всех сотрудников органов внутренних дел республики хочется пожелать всем раненым во время аварии скорейшего выздоровления!



●

**არაჩვეულებრივი** ღონისძიება ჩატარდა ამ დღეებში ქ. თბილისის მეტყველებაში მძიმე დარღვევების მქონე ბავშვთა სპეციალიზებულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში.

ქ. თბილისის № 1 სასანძრო ნაწილის უფროსის მოადგილის ა. მახარაშვილის ინიციატივით მოეწყო სასეფო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და მოსწავლე ახალგაზრდობის შეხვედრა წმინდა სამების ეკლესიის მოძღვართან — მამა როსტომთან (როსტომ ლორთქიფანიძესთან).

ზნეობრივი თვალსაზრისით სრული, ჰუმანურობისათვის მოწოდებული ღონისძიება ეხმიანებოდა ყმაწვილების სულით გაჯანსაღების შთაგონებულ იდეას.

●

## ПУСТЬ ОПРАВДАЮТ ДОВЕРИЕ

**ЛЮДЯМ,** преступившим закон, отбывающим срок лишения свободы, требуется чуткое, внимательное отношение, чтобы помочь им вернуться к нормальной жизни. Особая ответственность возлагается на сотрудников исправительно-трудовых учреждений в тех случаях, когда их подопечный — несовершеннолетний.

Администрация, личный состав нашего учреждения (начальник — майор в/с К. Гварамадзе), где отбывают наказание несовершеннолетние, осужденные за менее тяжкие уголовные преступления, прилагают все усилия для того, чтобы постоянно совершенствовать исправительно-воспитательный процесс, хотя делать это, скажем прямо, непросто. Основную трудность представляет отсутствие нормальных бытовых условий для содержания осужденных. Здания и постройки учреждения амортизированы и требуют капитального ремонта, в таком же положении и тепловое хозяйство. Правда, в последнее время при помощи вышестоящих инстанций началась реконструкция учреждения, но ход ее работ необходимо ускорить.

Несмотря на все перечисленные трудности в учреждении делается все необходимое для нормального ведения исправительно-трудового процесса. Подростки проходят школьную программу и параллельно обучаются в профтехучилище, овладевают различными специальностями.

Поскольку сейчас совершенно очевидно, что излишняя строгость и длительная изоляция от общества не приносят положительных результатов в воспитательном процессе, мы используем укоренившуюся в последние годы практику условно-досрочного освобождения. Так и в нынешнем году, к Международному дню защиты детей из нашего учреждения были освобождены семь подростков.

Успешное проведение этого мероприятия стало возможным благодаря активному содействию руководства УИД МВД ГССР, Республиканского детского фонда, комиссии по делам несовершеннолетних, суда и прокуратуры Глданского района столицы республики, которые проявили большую заинтересованность в дальнейшей судьбе подростков.

Теплой была обстановка в день освобождения, когда сотрудники учреждения, педагогический состав передавали подростков их родителям и близким. Хочется верить, что они оправдают оказанное доверие, и традиция условно-досрочных освобождений будет продолжена и в будущем.

**А. ШИОШВИЛИ,**
**капитан внутренней службы, заместитель начальника учреждения по политчасти.**

## ანონსი

**ჩვენი** გაზეთის მომავალ ნომერში მკითხველებს შევთავაზებთ შემდეგ მასალებს: ინტერვიუს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსთან, შ/ს პოლკოვნიკ გ. ბიჭაშვილთან; მედიცინის მუშაკთა დღისადმი მიძღვნილ მასალას; სტატიას გასწორების საქმეთა სამმართველოს მოწინავე თანამშრომლებზე.

# გზა — გავლილი, გზა — გასავლელი

**დღეს რედაქციის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხობს საქართველოს შს სამინისტროს გამასწორებელ საქმეთა სამმართველოს უფროსი შ/ს პოდპოლკოვნიკი ნ. მოსიაშვილი.**

**1. გვაინტერესებს თქვენი შეფასება თუ რისი განხორციელება შესძლო და რისი ვერა თქვენდამი რწმუნებულმა სამსახურმა გასულ 1989 წელს.**

**2. კოლეგიის სხდომაზე როგორ შეფასდა თქვენი სამსახურის მუშაობა და რა საკითხებზე იქნება თქვენი ყურადღება გამახვილებული მომავალში?**

**3. გარდა რესპუბლიკაში მიმდინარე ყველასათვის ცნობილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისა და ეთნოკრიზისისა, რას თვლით ხელის შემშლელად დასახული მიზნისაკენ მიმავალ გზაზე, სუბიექტური და ობიექტური მიზეზები.**

**4. რა კუთხით წარმართავს თქვენი სამსახური მუშაობას მიმდინარე წელს, ანუ ძირითადი მიმართულებანი.**

**5. როგორ ფიქრობთ ამაღლოთ თითოეული თანამშრომლის პროფესიული დონე და პასუხისმგებლობა მინდობილი საქმის კეთილსინდისიერად შესრულების საქმეში, რას თვლით ამისთვის საჭიროდ?**

**6. დასახული მიზნების მისაღწევად როგორ გესახებათ ურთიერთობა ჩვენს გაზეთთან და თვლით თუ არა მას აუცილებლად რას მისცემს თქვენს სამსახურს ეს ურთიერთობა?**

1. — მოგეხსენებათ გასული 1989 წელი მეტად რთული იყო თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებით, რამაც გარკვეული გავლენა მოახდინა გამასწორებელ საქმეთა სამმართველოსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებზე, კერძოდ, მხედველობაში მაქვს სპეცკონტინგენტი და ამ პერიოდში მისგან გამომდინარე ის პრობლემები, რომლებიც სხვა დროისათვის ასეთს არ წარმოადგენდა.

მიუხედავად აღნიშნულისა უნდა ითქვას, რომ სამმართველოს ხელმძღვანელობამ, დაწესებულებათა ადმინისტრაციებმა ძირითადად შესძლეს წლის განსაკუთრებულად რთულ მომენტებში კონტროლი გაეწიათ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მიმდინარე პროცესებისათვის. ამის დამადასტურებლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ გასული, 1989 წლის განმავლობაში არ ჰქონია ადგილი სპეცკონტინგენტის მხრიდან ჯგუფურ ექცესებს, მით უმეტეს მასობრივ დაუმორჩილებლობას ან ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობილ დაჯგუფებებსა და ურთიერთ მტრობას.

შრომა-გასწორების კოლონია ის ადგილია, სადაც კანონით გათვალისწინებულ სასჯელს იხდიან დამნაშავენი. ამასთან სასჯელის მოხდა მართლმსაჯულებით შურისძიებას კი არ გულისხმობს, არამედ დამნაშავის აღზრდა-გამოსწორებას, რათა იგი კვლავ დაუბრუნდეს ოჯახს, საზოგადოებას. ამის მიღწევის ძირითადი საშუალებაა მსჯავრდებულთა შრომითი აღზრდა, შრომა-გასწორების კოდექსით გათვალისწინებულ სარეჟიმო მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა და მათთან ინდივიდუალური, აღმზრდელობითი მუშაობა, რომლის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ აქცენტი გადააქვს ადამიანის ფაქტორზე, პიროვნების ინდივიდუალურ თვისებებზე, რომელთა გათვალისწინება მუდამ იძლევა ხოლმე სასურველ შედეგს.

აღმზრდელობითი პროცესის პრაქტიკულად განხორციელების მიზნ-



ით შრომა-გასწორების დაწესებულებებში ფუნქციონირებენ საწარმოები, სადაც მსჯავრდებულები შრომობენ და ქმნიან პროდუქციას. მსჯავრდებულები, რომლებსაც არ გააჩნიათ არავითარი ხელობა, სწორედ აქ და დაწესებულებებში არსებულ პროფტექსასწავლებლებში ეუფლებიან მათთვის საინტერესო ამა თუ იმ პროფესიას, რომელიც ხშირად შემდგომში მათი შრომითი საქმიანობის განმსაზღვრელი ფაქტორი ხდება. აქვე ფუნქციონირებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები.

მსჯავრდებულები, რომლებიც კეთილსინდისიერად ეკიდებიან შრომას, იცავენ დაწესებულ რეჟიმს და ამით ამტკიცებენ, რომ ადგანან გამოსწორების გზას, მათ მიმართ გარდა კანონით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენებისა (პირობით ვადამდე განთავისუფლება, ვადამდე პირობით განთავისუფლება შრომაში სავალდებულო ჩაბმით და კოლონია-დასახლებაში გადაყვანა), სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ, მასთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტთან მჭიდრო თანამშრომლობით წარდგებიან ხოლმე უზენაესი საბჭოს წინაშე მათი შეწყალების შუამდგომლობით. განსაკუთრებით ხშირად ხორციელდება ეს არასრულწლოვანთა და ქალ მსჯავრდებულთა მიმართ. ითვალისწინებს რა, რესპუბლიკაში შექმნილ საზოგადოებრივ აზრსა და ჩვენს ცხოვრებაში ამჟამად მიმდინარე ჰუმანიზაციის პროცესებს, დაისვა საკითხი საკავშირო სამინისტროს წინაშე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მსჯავრდებულების სასჯელის მოსახდელად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არ გაყვანის თაობაზე და უკვე ნაწილობრივ ხორციელდება ასეთი მსჯავრდებულების უკან დაბრუნება. არ შეესაბამებოდა რა, თავის დანიშნულებას საგარეჯოს სამკურნალო პროფილაქტორიუმი, დაისვა საკითხი მისი ჯანდაცვის სამინისტროს სისტემაში გადასვლის შესახებ, რაც უკვე განხორციელდა. ამასთან გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის მოსაგვარებელი. მიუხედავად იმისა, რომ ოპერატიული სამსახურების მიერ მხილებულ იქნა ნარკოტიკების გამავრცელებლები, აღკვეთილ იქნა მნიშვნელოვანი რაოდენობის სპირტიანი სასმელებისა და ფულის შეტანის მცდელობა, ამ რი. გაცილებით მეტ ყურადღებას დავუთმობთ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას და ისევ და ისევ წარმოებას. მის გადაიარაღებას, მატერიალური რესურსებით სათანადო მომარაგებას, მისი ეფექტიანობის ამაღლებას. ამჟამად მიმდინარე ჰუმანიზაციისა და დემოკრატიზაციის საფუძველზე აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდების სრულყოფას.

3. — მუშაობაში ხელშემშლელი პირობები საკმაოდ არსებობს, როგორც სუბიექტური ისე ობიექტური, ამასთან, მიუხედავად თქვენს მიერ დასმულ კითხვაში ხაზგასმულობისა, უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის რესპუბლიკაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები და ეთნოკრიზისი ერთ-ერთი ძირითადია. ავღნიშნავ მხოლოდ ორ მომენტს: ერთის მხრივ, სამმართველოს მთელი პირადი შემადგენლობა, წლის განმავლობაში დაკავებული იყო რა სხვადასხვა ოპერატიულ ჯგუფებში, მოწყვეტილი იყო თავის პირად სამსახურეობრივ ფუნქციებს.

სამსახურის ხედვის არის მიღმა დარჩა დანაშაულობათა მომზადების რიგი ფაქტები, განსაკუთრებით კი ჯგუფური გაქცევა, რაც ნეგატიურად აისახა დაწესებულებათა ოპერატიულ ვითარებაზე. ჩამორჩენები გვაქვს აგრეთვე საწარმოო დავალებათა შესრულების სფეროშიც, სასაქონლო პროდუქციის გეგმა მხოლოდ 80,2% შესრულდა, ხოლო ზოგიერთ საწარმოებში იგი 55% არ აღემატება. ბევრი ვეცადეთ წლის განმავლობაში რათა უზრუნველგვეყო სპეცკონტიგენტის შრომითი დასაქმება, მაგრამ სასურველი შედეგისთვის დღემდე ვერ მიგვიღწევია ისეთ ეკონომიურ მაჩვენებლებშიც კი როგორიცაა მსჯავრდებულთა გაყვანა ანაზღაურებად სამუშაოზე, ერთ მომუშავეზე გამომუშავების დღიური ნორმის შესრულება და სხვა.

2. — ეს პრობლემები, რა თქმა უნდა მჭიდროდ არის დაკავშირებული უპირველეს ყოვლისა წარმოებათა ორგანიზაციასთან, აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებასთან, დისციპლინის განმტკიცებასთან და სხვა. კოლეგიის მიერ სამმართველოსა და მისი დაწესებულებების გატარებული მუშაობა მთლიანად შეფასებული იქნა დამაკმაყოფილებლად. ამასთან მივუთითა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბა-

გარდა ამისა აუცილებლად მიგვაჩნია ოპერატიული სამსახურების გაზრდა. მით უმეტეს რომ მიმდინარე წელს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად გვესახება ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა, რისთვისაც აუცილებლობას წარმოადგენს ოპერატიული აპარატების დაკომპლექტება გამოცდილი პროფესიონალებით. გარკვეული ობიექტური წინააღმდეგობებია წარმოების მხრივ. კერძოდ, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური ვითარების მიზეზით დაირღვა კავშირები ჩვენთან კოოპერაციაში მყოფ სხვა საწარმოებთან, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მაკომპლექტებელი ნაკეთობების არარითმული მიწოდება, შეფერხებები ნედლეულსა და სხვა მატერიალური რესურსების მოწოდებაში, რამაც გვაიძულა მივემართა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსათვის და გამასწორებელ საქმეთა მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობისათვის კაპდაბანდებათა და მათი მატერიალური რესურსების გამოყოფის, რიგი მშენებარე ობიექტების ექსპლუატაციაში შესვლის დაჩქარების თაობაზე, რაც უახლოეს მომავალში უნდა განიხილოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ.

4. სისხლის სამართლისა და დანაშაულისათვის სასჯელის აღსრულე-

**მრავალი [illegible] ანუ გაფართოებული კოლეგიის სხდომის შემდეგ**

შელი ახალი კანონმდებლობის შემოსვლა ახალ ამოცანებს დასახავს. საქმე შეეხება სისტემის სრულყოფას 1991-1995 წ. წ. მიმდინარე წელი უნდა გახდეს ბაზისი შემდეგი გარდაქმნებისათვის. ბევრია გასაკეთებელი მსჯავრდებულთა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და ეკოლოგიური პირობების გადასაწყვეტად. ამის გარეშე უფლება არ გვექნება ვისაუბროთ მსჯავრდებულთა მიმართ ჰუმანიზაციისა და დემოკრატიზაციის პრინციპების განხორციელებაზე, შრომა-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანობაზე.

5. — შინაგან საქმეთა ორგანოს ყოველი თანამშრომელი მოვალეა მიცემული ფიცის თანახმად პასუხისმგებლობით მოეკიდოს მინდობილ საქმეს და კეთილსინდისიერად შეასრულოს იგი. ფიცი ავალდებულებს მას განუხრელად იმაღლებდეს თავის იდეურ-პოლიტიკურ და პროფესიული დაოსტატების დონეს. გარდა ამისა, ყოველი ახალბედა თანამშრომელი, როგორც წესი ხელმძღვანელის ბრძანებით მიმაგრებულია დამრიგებელს, რომელიც თავის გამოცდილებას უზიარებს მას. სამსახურის დასაწყისიდან ერთხელ და შემდეგ ყოველ ოთხ წელიწადში გადიან პირველდაწყებითს და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს. თანამშრომლის მიერ სამსახურის შესრულების უნარიანობის დონე აისახება ატესტაციაში, რაც მისი სამსახურეობრივი დაწინაურების საწინდარია. ფართოდ გამოიყენება წახალისების და მატერიალური ანაზღაურების პრაქტიკა. სამმართველოს გააჩნია აგრეთვე თანამშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების სოლიდური ფონდი. ვიმედოვნებთ, უახლოეს 5 წელიწადში სამმართველოს ყველა თანამშრომელი დაკმაყოფილებული იქნება საცხოვრებელი ბინით.

6. — რასაკვირველია, ურთიერთობას თქვენ გაზეთთან აუცილებლად ვთვლი. გაზეთის ფურცლებზე უნდა აისახოს ჩვენი სამსახურის საქმიანობა, მისი ავ-კარგი. ამასთან ობიექტურად უნდა შეფასდეს შრომა-გასწორების დაწესებულებებში შექმნილი ვითარება, რომელიც დღემდე არასახარბიელოა. ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობთ, რათა მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალოს. უკვე სახეზეა გარკვეული, დადებითი ძვრები, რომელთა შესახებ (კრიტიკულ მასალებთან ერთად) თქვენი გაზეთიც იუწყებოდა. ეს კი ვფიქრობ აამაღლებს ჩვენი თანამშრომლების პასუხისმგებლობას და ავტორიტეტს.

## ЗА ПОРЯДОК ВОКРУГ НАС





**ГОВОРЯТ,** что город помимо архитектурных, исторических, культурных памятников, парков и скверов красят его жители. Бывают, правда, и такие, к которым сказанное никак нельзя отнести. Подобные «колоритные» фигуры часто можно видеть у станции метро «Варкетили» и прилегающей к ней территории. Явление конечно нежелательное, но к сожалению, бытующее! Канули в прошлое разносчики мацони из пригородов Тбилиси, не раздаются крики «точим ножи-ножницы», «старый одежь, старый вещь покупаю». Все эти вещи можно купить в торговой сети, старую одежду можно сдать в специализированные магазины «Стимул» и т. д.

Но вот семечки по 30 копеек за микроскопический стаканчик, ереванские жвачки за 1 руб., жвачки «Дональдо» и «Педро», по 2 руб. каждая, картофельные пирожки собственного производства, фирменные майки кооператива «Пейкари», цветы — все эти вещи продаются у входа в метро «Варкетили», и продают их люди, не соблюдающие каких-либо норм гигиены, санитарии и не имеющие к тому же соответствующих разрешений вышестоящих органов. Все они именуют себя кооператорами. Когда мы попросили у продавца из кооператива «Пейкари», торговавшего майками, показать разрешение, то он представил документ, в котором было написано, что реализация разрешена на железнодорожной станции «Вели». Реализаторы семечек и других ходовых товаров вообще, увидя фотоаппарат, пытались скрыться, бежать. Возникает вопрос: почему эта полулегальная торговля остается без внимания со стороны сотрудников милиции — участковых, охраны метрополитена — ведь это их прямая обязанность — следить за порядком как на станции метро, так и прилегающей к ней территории.

Но, к сожалению, наша рейдовая бригада, в течение часа находясь на прилегающей к метро территории, так и не встретила представителей правопорядка, а ведь они так нужны в таких точках города.

**Рейдовая бригада «БС».**

**НА ЛИНИИ МАРНЕУЛИ**

# УСПЕШНАЯ СТАЖИРОВКА

**НАСТУПИЛО** лето — пора государственных экзаменов в ТФМВШМ МВД СССР. Сейчас слушатели IV курса очного отделения заканчивают стажировку в райотделах милиции. Нам по телефону позвонил начальник ОУР Марнеульского РОВД майор милиции Э. Джафарли и рассказал о проделанной слушателями ТФМВШМ МВД СССР работе.

— В соответствии с программой прохождения стажировки, слушатели IV курса очного обучения ТФМВШМ МВД СССР М. Абазов, М. Мамедов и И. Мамедов были направлены к нам в РОВД для прохождения стажировки. Их закрепили за старшим оперуполномоченным капитаном милиции А. Дунямалиевым, оперуполномоченным ОУР капитаном милиции Р. Юсубовым и за мной.

Все трое слушателей активно включились в работу отдела и пополнили свои знания теоретически и практически, участвовали в организации розыскных мероприятий по задержанию жителя села Алвар Марнеульского района Йолчу А., соучастника разбойного нападения, сопряженного с убийством гр-на Мосилашвили—сторожа ПМК-300 в поселке Казрети Болнисского района.

Слушатели школы в период стажировки были также откомандированы оперуполномоченным ОУР капитаном милиции Р. Юсубовым в г. Баку, где проведенными мероприятиями был установлен и задержан гражданин Д. Касимов, который разыскивался Марнеульским РОВД по двум фактам угона автомашин на территории Марнеульского района.

За проделанную эффективную работу совместно с работниками уголовного розыска начальником РОВД подполковником милиции Д. Сванидзе был издан приказ о поощрении слушателей М. Абазова, М. Мамедова, и И. Мамедова.

Сейчас они готовятся к выпускным экзаменам, и полученные в РОВД практические знания помогут им в дальнейшей работе.

Записал **А. МАЛАЯНЦ.**

# მადლობა ოპერატიულობისათვის

...09 ღამეს სოხუმი-თბილისის ცენტრალურ ავტომაგისტრალზე ახოგვარიდან გალამდე ორი ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა: უცნობი ავტომანქანა ჯერ ახიგვარაში დაეჯახა ფეხით მოსიარულეს, შემდეგ კი მდინარე ნიშონის ხიდზე, ქალაქ გალის მისადგომებთან გაიტანა კაცი. მეორე შემთხვევა ტრაგიკული გამოდგა, დაშავებული ადგილზე გარდაიცვალა.

მეორე შემთხვევის თვითმხილველთა ჩვენებით, რომელიც მაშინვე დააფიქსირა გამომძიებელმა რ. გაბლაიამ, მანქანამ შეუჩერებლად, დიდი სისწრაფით გააგრძელა გზა გალის მიმართულებით. მათი მეშვეობით ავტომანქანის სახეობაც იქნა დადგენილი — იგი „უაზის“ მარკის უნდა ყოფილიყო. შემთხვევის ადგილთან ავტოპროფილაქტორიუმიცაა, ტერიტორია განათებულია და თვითმხილველებმა მანქანის სავარაუდო ფერიც გაარჩიეს — ბაცი თეთრი ან სპილენძისფერი. ერთს მანქანის სერიისათვის მიუქცევია ყურადღება, მაგრამ როგორც მისი განმარტებიდან ჩანდა ისიც სავარაუდო იყო.

მაშინვე შეიქმნა ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფი. თითქმის მთელი განყოფილება ფეხზე დადგა, მაგრამ ხელმოსაკიდი არაფერი ჩანდა. თითქმის მთელი საქართველოს მანქანები იქნა შემოწმებული. თვითმხილველთა მიერ ნაჩვენები სავარაუდო ნიშნებით, კერძოდ მანქანის სერიის მიხედვით, იგი სომხეთიდან უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფის წევრები სწორედ სომხეთში გაემგზავრნენ. თვითმხილველის მიერ მითითებული სერიისა და ნომრის ავტომანქანას მართლაც მიაკვლიეს ერევანში, მაგრამ იგი ცინცხალი „ჟიგული“ გამოდგა და მისი პატრონი ერევნიდან საერთოდ არ გასულა, რაც ის მანქანა შეიძინა.

მილიციის მუშაკები ერთ მომენტში დაიბნენ კიდეც, მაგრამ მანქანის ძებნა არ შეუწყვეტიათ. გადაწყვიტეს გადაემოწმებინათ „უაზის“ მარკის ავტომანქანები. დამნაშავე მანქანების ძებნაში, როგორც მათ გვითხრეს საქართველოშიც და სომხეთშიც აქტიურად ეხმარებოდნენ კოლეგები, შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკები, ადგილობრივი ავტოინსპექტორები. კიროვაკანში გალიდან ჩასულ ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფს მისი ერთ-ერთი წევრის ვ. ნარმანიას სტუდენტობის მეგობარი, ავტოინსპექტორი გ. საავიანი შეხვდა. მან დიდი დახმარება გაუწია ჩვენს მუშაკებს ეჭვმიტანილი ავტომანქანის მიკვლევაში.

კიროვაკანიდან 50 კილომეტრზე, ქალაქ დილიჟანში, ერთი საწარმოს მცირე ავტოფარეხის შემოწმებისას ნახეს „უაზის“ მარკის სპილოსძვლისფერი ავტომანქანა, რომელსაც წინა ნაწილში ისეთი დაზიანება ჰქონდა მიღებული ცხადად ჩანდა კაცს რომ იყო დანაჯახები. მონახეს ამ მანქანის მძღოლიც, ახალგაზრდა კაცი, რომელმაც მაშინვე აღიარა ყოველივე. მილიციის მუშაკებს განუცხადა: ჩემი უბედურების ამბავი მამაჩემს მოვუყევი და დღეს რომ არ მოსულიყავით, ხვალ დილას მამაჩემს მოვყავდი თქვენთანო. რამდენად გულწრფელია იგი ამას ძიება გვიჩვენებს. თუმცა გამოირკვა, რომ მთელი ოჯახი მიწისძვრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი აღმოჩნდა — გარაჟისმაგვარ ხუხულაშია თავშეფარებული.

— გზაზე კაცს რომ დაეჯახე, ჯერ ერთს, მერე მეორეს, მეორე შემთხვევაში მაინც რატომ არ გააჩერე მანქანა, დაგეხედა დაზარალებულისათვის, იქნებ შეიძლებოდა მისი გადარჩენა?

— შემეშინდა, მეგონა ხალხი მომკლავდა, აზერბაიჯანში ხომ ხოცავენ სომხებს, მეგონა თქვენთანაც არ დამზოგავდნენ...

ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფის წევრები ერთხმად აღნიშნავდნენ იმ სითბოს რასაც ისინი გრძნობდნენ მოძმე სომხეთში, ყველგან კეთილად ხვდებოდნენ ადამიანები, ხელს ართმევდნენ თურმე ჩვენებს და მადლობას ეუბნებოდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ ისინი ქართველები იყვნენ. ერთხმად იმეორებდნენ: „თქვენ ნამდვილი ძმობა გაგვიწიეთ მაშინ, როცა სომხეთი მიწისძვრამ დაანგრია და ახლაც, როცა ბლოკადაში ვართ. ჩვენი ხალხის ხსნის გზა საქართველოზე გადის და თქვენი თანადგომა გვამხნევებს, ამ ძნელბედობის ჟამს.“ ეს ამ უბედურებაში ჩავარდნილი ხალხის ალალი გულისთქმაა, მოძმის, თანამდგომის მიმართ მადლიერების გულღია გამოხატვაა.

მილიციის განყოფილების ხელმძღვანელობა, მადლობას უცხადებს ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფის წევრებს ავტოსაგზაო შემთხვევების გახსნასა და დამნაშავის დადგენა-დაკავების საქმეში გამოჩენილი ოპერატიულობისათვის.

**ჯ. ბაბელია,**
**შს გალის რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში· მილიციის მაიორი.**

# გამოავლინეს დამტაცებლები

**1990 წლის** 3 მაისს თეთრიწყაროს შს რაიგანყოფილების მუშაკების მიერ გამოვლენილი იქნა ორბეთის სამრეწველო მაღაზიის გამგე-გამყიდველისა და მანგლისის მომხმარებელთა საზოგადოების სავაჭრო განყოფილების გამგის მიერ იმპორტული წარმოების საქონლის მომხმარებლისაგან გადამალვის ფაქტი. ამ უკანასკნელის ბინიდან ამოღებული იქნა სამრეწველო მაღაზიაზე რიცხული შემდეგი საქონელი: მაგნიტოფონი „სანიო“ — ერთი ცალი, მაგნიტოფონი „ფიშერი“ — 2 ცალი, ელექტრომტვერსასრუტი „სანიო“ — 1 ცალი, საკერავი მანქანა „იაგუარი“ 1 ცალი, სულ 3350 მანეთის ღირებულების.

იმავე დღეს მილიციის თანამშრომლების მიერ გამოვლენილი იქნა საქონლის მომხმარებლისაგან გადამალვის ფაქტი ორბეთის სამეურნეო მაღაზიაშიც, რომლის გამგის სახლში აღმოჩნდა შემდეგი გადამალული საქონელი: პოლონური წარმოების 30 ცალი ჩაიდანი, გერმანული წარმოების 10 ცალი ელექტროდრელი, იუგოსლავური წარმოების 200 ცალი შპალერი, სულ 4294 მანეთის ღირებულების საქონელი. აღნიშნული პირები განთავისუფლებული არიან დაკავებული თანამდებობებიდან. ზემოაღნიშნული მაღაზიებიდან ამოღებული საქონელი მთლიანად რეალიზებულია თეთრიწყაროს ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს მიერ.

რაიგანყოფილების მუშაკებმა ამხილეს თეთრიწყაროს რაიონის კოდის საბჭოთა მეურნეობის მეცხვარეობის ფერმის ბრიგადირი, რომელმაც ბოლნისის საკოლმეურნეო ბაზარზე დაუდგენელ პირებს მიჰყიდა მეურნეობის კუთვნილი 32 სული ბატკანი. წინასწარი გამოძიების დროს დადგენილ იქნა, რომ იმ პერიოდში ბრიგადირმა სულ დაიტაცა 169 სული ცხვარ-ბატკანი რომლის სახელმწიფო ღირებულებამ შეადგინა 18 ათასი მანეთი.

დამნაშავეთა მხილებაში თავი გამოიჩინეს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილემ პოლიტდარგში რ. რამინაშვილმა, სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებულმა, მილიციის ლეიტენანტმა თ. ფეიქრიშვილმა, უბნის უფროსმა ინსპექტორმა, მილიციის მაიორმა ი. მუსაევმა და უბნის ინსპექტორმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა გ. სამხარაძემ.

**ზ. ბულდაშვილი,**
**თეთრიწყაროს შს რაიგანყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი.**

**Майор милиции В. Келехсаев в органах внутренних дел с 1974 года. В 1976 году окончил Калининградскую специальную среднюю школу милиции МВД СССР. Начинал службу инспектором уголовного розыска, в настоящее время — старший эксперт экспертно-криминалистической группы УВД Юго-Осетии... Специалист 1-го класса... Был поощрен 30 раз, имеет одно взыскание.**

**(Из аттестации).**

## ЧЕЛОВЕК И ЕГО ДЕЛО

# Слагаемые авторитета

..**.ЭТА КРАЖА** была, как и десятки других. Преступник проник в дом через незапертую дверь («на работу торопились», — смущенно пояснила потерпевшая). Поиск добычи также не составил для него особого труда—250 рублей лежали в шкафу под стопкой белья. Судя по тому, что створка дверей шкафа была тщательно протерта, можно было предположить, что преступник — не новичок.

Владимир Келехсаев принес на кухню чемодан криминалиста и начал «колдовать». Тончайшей колонковой кисточкой опылил ручки дверей, поверхность серванта.. Увы, ни одного следа: ни хозяйских, ни чужих — все протерто. На кухне эксперт обратил внимание на форточку. Аккуратная работа магнитной кисточкой, и вот они, — следы пальцев рук...

Начались часы скрупулезной кабинетной работы с фотоустановками, специальными лупами, дактилоскопическими картами лиц, ранее судимых за преступления.. Эта работа осложнялась еще и тем, что кожный узор оказался самым распространенным — «петля». Сотни дактокарт, сопоставления, расчеты и... «след указательного пальца правой руки и мизинца левой руки оставлен гражданином К...». Преступник был изобличен в совершении преступления и предстал перед судом.

Майор милиции В. Келехсаев работает старшим экспертом экспертно-криминалистической группы УВД Юго - Осетии с 1986 года. Окончил курсы повышения квалификации и получил допуск на право самостоятельного проведения криминалистических экспертиз. Быстро ориентируется в выборе конкретных технических средств в ходе работы. Эффективно использует криминалистическую и оперативную технику в борьбе с преступностью.

Экспертиза — лишь одно направление криминалистической работы. Большая роль принадлежит эксперту в розыскной и профилактической работе милиции: организация использования специальных фотоальбомов, учетов, таблиц, кино- и фотосъемки, следов орудий взлома, композиционных портретов внешности и тому подобное. Особенность этой работы в том, что, с одной стороны, чем больше объем учетов, тем эффективнее их отдача. С другой — возрастающий массив учетов затрудняет работу. Поэтому требуются тут особые люди, пытливые, ищущие новые пути в своей работе. Такие, как майор милиции В. Келехсаев...

**Т. ГУЦМАЗТЫ,**
**старший лейтенант милиции, инструктор пресс-группы УВД Юго-Осетии.**

# ТОЛЬКО ФАКТЫ

● **2 июня сотрудниками Глданского РОВД г. Тбилиси совместно с отделом охраны этого же РОВД уличен начальник Авчальского участка Грузтара Гарсеван Н., который с упомянутого участка продал 1.000 штук картонных ящиков стоимостью 270 руб. за 700 руб.**

● **4 июня сотрудниками ЛОВД на ст. Сухуми задержан Владимир Л., житель г. Гулкевич Краснодарского края, у которого обнаружены и изъяты 5 газовых колонок, купленных в г. Сухуми у незнакомого лица с целью перепродажи.**

● **4 июня сотрудниками Мцхетского РОВД задержан ранее неоднократно судимый житель с. Дигоми Георгий К., который 29 апреля в с. Дигоми совершил кражу из комиссионного магазина. Краденое изъято.**

● **4 июня в вечернее время в г. Телави находившийся в магазине «Электроника» ранее судимый житель с. Кода Тетрицкаройского района Гиви А. с целью совершения кражи спрятался перед закрытием магазина и ночью, похитив деньги в сумме 7.639 руб. и женский косметический набор, выставив стекло, пытался скрыться, однако был задержан сотрудниками ОУР и отдела охраны Телавского РОВД. Краденое изъято.**

# დიდი მოწონება დაიმსახურა



**პირველ** ივნისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს კულტურის სახლში საზეიმოდ ჩატარდა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო. დარბაზი დამსწრეთ ვერ იტევდა. აქ თავი მოიყარეს რესპუბლიკის შს სამინისტროს თანამშრომელთა შვილებმა, კულტურის სახლთან არსებულმა სხვადასხვა თვითმოქმედი კოლექტივების წევრებმა, მშობლებმა.

მაყურებლის წინაშე წარსდგნენ ნორჩი „მსახიობები“. საზეიმო საღამოს პირველ ნომრად წარმოდგენილი იყო ნორჩ მოცეკვავეთა ჯგუფი „ნაკადული“ (ხელმძღვანელები მამა-შვილი კ. და შ. კობეშავიძეები), რომელიც არსებობის 30 წელს ითვლის. მოცეკვავეები შეცვალა გოგონათა ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „მაისმა“ (ხელმძღვანელი გ. გოჩიაშვილი).

საღამომ გულთბილ, უშუალო, კეთილმოსურნეობის ვითარებაში ჩაიარა და დიდი მოწონება დაიმსახურა.

გ. მგალობლიშვილის ტექსტი და ფოტო

СПОРТ ••••••••••••••• სპორტი СПОРТ ••••••••••••••• სპორტი

# ЧЕМПИОНАТ ПОЗАДИ, ВПЕРЕДИ НОВЫЕ СТАРТЫ

**В ДИНАМИЧНОЙ** и напряженной борьбе прошли на днях соревнования чемпионата МВД ГССР по многоборью кинологов, в которых приняли участие 11 спортсменов, представлявших подразделения органов внутренних дел Гори, Сигнахи, Самтредиа и Тбилиси. Красочное зрелище представлял в эти дни расцвеченный знаменами спортобщества «Динамо», цветными флажками полосы препятствий ,и прочими атрибутами яркого спортивного зрелища Объединенный республиканский питомник служебно-розыскного собаководства, на базе которого проводились соревнования.

Им предшествовали торжественное открытие, парад участников, к которым с приветственным словом обратился начальник отдела физподготовки и оргмассовой работы УК МВД ГССР старший лейтенант внутренней службы И. Барский. Честь поднятия флага соревнований была предоставлена победителям прошлогоднего первенства сержантам милиции Г. Отиеву и Ф. Амирасланову.

На первом этапе кинологам и предстояло пройти специальную полосу препятствий за контрольное время — 1 минуту. За каждую секунду сверх норматива начислялись штрафные очки. Первое и третье места заняли сотрудники Объединенного питомника СРС МВД ГССР сержант милиции Ф. Амирасланов с собакой по кличке Лорд и старшина милиции В. Хионаки (собака Граф), на второе вышел представитель Сигнахского РОВД сержант милиции Г. Отиев (собака Касси).

Среди болельщиков внимание привлекла группа подростков, очень эмоционально и непосредственно болевшая за участников соревнований. «Эти ребята — ученики средних школ, у нас они уже второй год, помогают нашим кинологам в дрессировке и служебной выучке собак, постигают азы этой интересной профессии, — рассказывает начальник Объединенного республиканского питомника СРС МВД ГССР майор милиции Ш. Джгамадзе. — Таким образом в отличие от многих своих сверстников, не знающих, что делать в свободное время, они заняты общественно полезным трудом, могут получить специальность, которая пригодится в жизни. Думаем, в будущем из них выйдет достойная смена нашим сотрудникам».

Интересно проходили и остальные этапы чемпионата.

В соревнованиях по общему курсу первенствовал инспектор-кинолог старший лейтенант милиции С. Геворкян, второе место за Ф. Амирасланов, третье место поделили В. Хионаки и Г. Отиев. В спецкурсе тройку призеров составили В. Хионаки, Г. Отнев и Ф. Амирасланов, в биатлоне лучшими были, соответственно, С. Геворкян, Г. Отиев и В. Хионаки. По результатам всех соревнований лучшую сумму набрал С. Геворкян, который и стал победителем чемпионата, второе и третье места завоевали Г. Отиев и В. Хионаки.

— Соревнования прошли в целом на неплохом уровне, однако нельзя не отметить, что количество участников должно было быть большим. Несмотря на то, что на места заблаговременно было сообщено о сроках проведения чемпионата и необходимости участия в нем представителей всех ОВД, многие подразделения, в том числе такие крупные как МВД Абхазии и Аджарии, УВД Кутаиси и Юго-Осетии, Руставский ГОВД и др., не прислали своих сотрудников, — сказал в беседе с нами И. Барский. — Это тем более непонятно, что кинологи работают в основном на самом напряженном участке — по линии уголовного розыска,— и именно подобные соревнования позволяют проверить их профессиональную подготовку, повысить ее уровень. Хотелось бы, чтобы руководители на местах больше внимания уделяли этому вопросу.

Итак, соревнования завершены. По их итогам составлена сборная команда министерства, которая примет участие в чемпионате МВД СССР, который состоится в августе месяце в Ленинграде. Пожелаем нашим спортсменам успешного выступления!

**А. ЦАТУРОВ.**

* * *





**НА СНИМКАХ: полосу препятствий проходит сержант милиции Г. Отнев; ветеран состязаний 51-летний инспектор - кинолог Самтредского РОВД старшина милиции М. Какабадзе со своим четвероногим другом по кличке Алма.**

(Фото **Г. Мгалоблишвили**).

— შეიძლება. შეიძლება ნაკლებიც.

— ყაჩაღობა — მკვლელობით! — დახლმიჭა დაჭრილი, თხუთმეტ წელს ერთი დღეც არ დააკლდება. ასეა?

რომანი არ უსმენდა.

დაჭრილი მიხვდა ამას.

— თქვენ... თქვენ რატომ არ მომკალით?

— ხომ ვთქვი, სასიკვდილო არა ხარ მეთქი...

· მე კი თქვენი მოკვლა მინდოდა.

— ვიცი.

— აგაცილე!

იქნებ მაშინებდი? — თვალი თვალში გაუყარა რომანმა.

— არა... დედას გეფიცები... ნაღდად გესროლე...

— მაშინ სროლა არ გცოდნია...

რომან გვენცაძე... — თითქოს თავისთვის წარმოსთქვა დაჭრილმა.

— მე რატომ არ გიცნობდი ამდენ ხანს?...

— ძალიან ახალგაზრდა ხარ...

— ??

კვის შემდეგ დიასახლისმა სათვალე თვალთ ჭრილიდან გამოიხედა. პარმაღზე მილიციის ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი იდგა. მაგრამ რამდენ იყო მისი გაკვირვება, როცა ბინაში შემოსულ მილიციის თანამშრომელს კიდევ სამი შეიარაღებული ახალგაზრდა შემოჰყვა. „დედა ვინ არის?" — გაისმა სამზარეულოდან წკრიალა ხმა. დიასახლისის თავისი ქალიშვილი და შვილიშვილი სტუმრებოდა. ამას არ ელოდნენ. თითქოს ყველაფერი გაითვალისწინეს. თითქოს ყველაფერი „გამოითვალეს" და ეს „წვრილმანი" მაინც გამორჩათ. დიასახლისმა ვეღარ შეძლო პასუხის გაცემა. მკერდზე რევოლვერი მიაბჯინეს. პირში ჩვარი ჩაჩურთეს და ხელები შეუკრეს.

შვილიშვილმა ტირილი დააპირა. „ხმა თორემ ორივეს მოგკლავთ!" — გაისმა შემაზრზენი მუქარა.

წინააღმდეგობის გაწევა უაზრობა იყო.

„რაღას ვუცდით, მივხედოთ საქმეს", — თქვა „მილიციის თანამშრომელმა?"

ჩხრეკა უმაღლეს დონეზე ჩატარდა.

წაიღეს: 10 700 მანეთი; ჩვიდმეტთვლიანი ბრილიანტის ბეჭედი; ბრილიანტისთვლიანი რგოლის ბეჭედი; რგოლის ოქროს ბეჭედი — ერთი ლალის თვლით და სამი ბრილიანტის თვლით; ქარვისთვლიანი ოქროს ბეჭედი; გველისგამოსახულებიანი ოქროს ბეჭედი; ფოთლისგამოსახულებიანი ოქროს ბეჭედი; ბრილიანტის საყურეები; ორმოცსანტიმეტრიანი ოქროს ძეწკვი; რამდენიმეკარატიანი ბრილიანტის ბეჭედი; სამწახნაგოვანი ოქროს ბეჭედი; ოთხკუთხედის ფორმის ძოწისთვლიანი ოქროს ბეჭედი; არაბული ოქროს სამაჯური; იტალიური უნიკალური ყელსაბამი. კამეა — გულსაბნევი; საერთო ღირებულება — 68 ათას ხუთასი მანეთი!

ამ „ჩხრეკის" დროს წარმოჩინდა ზოგიერთი დასამახსოვრებელი დეტალი:

იატაკზე წაქცეულ დიასახლისს იარაღით ადგა თავზე ვაჟა ბაგაური. ქალი იწმაწნებოდა. წამოდგომას ცდილობდა. „ვერ ჩააჩუმებ მაგ... ილრინებოდა ელგუჯა მკურნალი. მან ერთიორჯერ რევოლვერის ტარის ჩარტყმა მოუნდომა ხანშიშესულ მანდილოსანს, მაგრამ ბაგაურმა არ დაანება. ამასობაში „მილიციის ოფიცერი" კედელში დატანებული სამალავის გახსნას ლამობდა. მოულოდნელად მისი საშინელი გინება მოესმათ ოთახში მყოფთ. „მომეშველეთ!", — იყვირა ისევ. ფაიკას სამალავის კარში ხელი მოჰყვა. ბაგაური და კორაძე მაშინვე მიცვივდნენ. დანით გახსნეს კარი. ფაიკას თითებიდან სისხლი სდიოდა. მაგრამ ამისთვის არავის ეცალა. საუნჯე განძეული მათ ხელში იყო!

მერე, ცოტათი მოგვიანებით, როცა ქალბატონ ანას ბინაში უკვე მილიციის თანამშრომლები მივლენ, სამალავის კარიდან აღებულ ანაბეჭდებს გადამწყვეტი როლი ექნება საბრალდებო დასკვნის შედგენისას.

კრიმინალისტიკა უმალ დაადგენს ამ ანაბეჭდის „ავტორის" ვინაობას...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**გიორგი სანადირაძე**

# აკრძალული თამაშები

კოლო წიოდა. რომანმა დაკეცა გაზეთი. მოემზადა. ფარდებს შორის ბაწია ღია მონაკვეთი იყო დარჩენილი. ვილაცამ ამ მონაკვეთს მოაშორა. ჩამოწვა სიჩუმე. მძიმე, შემხუთავი. რომანმა დაჭრილს დახედა — თვალდახუჭული იწვა. ოცი წლისა იქნებოდა. ლამაზი სახე. მოკლედ შეკრეჭილი თმა. მაღალი, გაშლილი შუბლი. მოეჩვენა თითქოს შეირხა ბაგე. სიცხისგან აწითლებული და დამსკდარი. წყალი? ლიმონი შუაში გაჭრა და ტუჩებზე დააწურა.

სიკვდილის ფარდა შეირხა. გამოანათა ორმა თვალმა.

— სადა ვარ?

— საავადმყოფოში, — ჩუმად უპასუხა ექთანმა.

— თქვენ? თქვენ ვინა ხართ?...

რომანს მიმართავდნენ.

ეს იყო გაწმენდული, უკანასკნელ ზღვარს მიღწეული ადამიანის ხმა.

— იწექით წყნარად. თქვენთვის ლაპარაკი არ შეიძლება.

— რატომ... მაინც ვკვდები... სიკვდილი მაცალეთ. ექთანმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი. ურჩ პაციენტებს არ იყო ნაჩვევი.

არაფერი მოგივათ. დამშვიდდით. ოპერაციამ კარგად ჩაიარა.

— მე... ოპერაცია?!.. — თავის წამოწევა სცადა. ექთანმა შუბლზე დაადო ხელი. რომანს ანიშნა, პალატიდან გადითო.

ღამე იყო ცივი. მსუსხავი.

ვეებერთელა, სავსე მთვარე მთათა ქედზე დაგორებულიყო. რომანი მთვარეს გაჰყურებდა. მთელი მკერდით ისუნთქავდა სიგრილეს. რა ხდება? რამ ააფორიაქა ასე ერთიანად. თითქოს მის შიგნით რაღაც სიმი გაწყდა, ხმაურით გაწყდა და მისი ჟღრიალი უჯრედიდან უჯრედში გადადის...

წარმოიდგინა: თბილისი. ბროლოსანის ქუჩა. დროის მონაკვეთი — 10-დან 11 საათამდე. მძარცველები უკვე ბინაში იმყოფებიან. მათი აზრით აქ მხოლოდ ბინის პატრონი უნდა იყოს — ქალბატონი ანა. ასე მიმართეს მას, როცა ზარის დარე-

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი" №№ 19-24.**

**ВЧЕРА** на миланском стадионе «Сан-Сирро» состоялось торжественное открытие XIV чемпионата мира по футболу.

В двух из тринадцати предыдущих финальных матчах встречались команды Южной Америки (1930 г. и 1950 г.), в шести (1934, 1938, 1954, 1966, 1974 и 1982) — Европы. В пяти высшие награды оспаривали представители обоих континентов. Здесь полное превосходство на стороне латиноамериканских футболистов — 5:0. В 1958 году — Бразилия — Швеция 5:2, 1962 г. Бразилия — Чехословакия 3:1, 1970 г. — Бразилия — Италия 4:1, 1978 г. — Аргентина — Голландия 3:1, и 1986 г. — Аргентина — ФРГ 3:2.




# ТРИНАДЦАТЬ МГНОВЕНИЙ ФУТБОЛА

Советские футболисты участвуют в чемпионатах мира с 1958 года, с шестого мирового первенства. Трижды (в 1958, 1962, 1970) они дошли до четвертьфинала, а наибольшего успеха добились в 1966 году, когда пробились в полуфинал.

Всего в рамках чемпионатов мира советскими футболистами сыграно 80 встреч (49 побед, 15 ничьих, 16 поражений, мячи 159:62). Соперниками наших футболистов были национальные сборные 30 стран, причем наибольшее количество матчей было сыграно со сборной Турции — 7 раз, где в 6-ти встречах были одержаны победы.

В составе сборной СССР в матчах чемпионата мира выступали 96 игроков из 14 клубов, среди которых 16 тбилисских динамовцев **Т. Сулаквелидзе, М. Хурцилава, А. Чивадзе и С. Метревели** принимали участие в двух чемпионатах мира, больше всех матчей провели **А. Чивадзе, М. Хурцилава.** Мячи по одному забили **А. Чивадзе, Р. Шенгелия, С. Метревели и К. Асатиани.** Кроме вышеназванных грузинских футболистов в мировых чемпионатах выступали: **В. Дараселия, М. Месхи, Г. Чохели, Р. Дзодзуашвили, Г. Сичинава, Г. Нодия, Д. Кипиани, Ш. Хинчагашвили, В. Гуцаев, В. Баркая.** В нынешнем, XIV чемпионате мира в составе сборной СССР выступит еще один воспитанник грузинского футбола **А. Цвейба.**

**А. МАЛАЦИДЗЕ.**

ინდექსი 66639

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
ჩვენი მისამართი: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კოზაღაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება, ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარა ულის 29.

უე 09488